№ 194 სექტემბერი 13, კვირა 1892 სექტემბერი 13, კვირა № 194

გაზეთი ღირს

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892

დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 16 სექტემ.

ნადეჟდა ზაქარიას ასული პოლტარაცკისა შვილებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა სოფელს ოქროყანას მეუღლისა თვისისა **ივანე ეგნატეს ძის პოლტარაცკისასა** და სთხოვს მობრძანდნენ დილის 9 საათზედ მიცვალებულის გამოსვენებაზედ სოფ. ოქროყანიდგან ტფილისს ამაღლების ეკლესიაში, სადაც გადახდილ იქნება წირვა კვირას, 13 სექტემბერს. მიცვალებულს ოქროყანასვე წაასვენებენ დასასაფლავებლად. (2—2)

იბეჭდება და მალე გამოვა გასასყიდად

საქართველოს კალენდარი

1893 წლისათვის,

შედგენილი და გამოცემული **ვალერიან გუნიას მიერ.**

კალენდარი კვლავინდებურად დასურათებული, უფრო სრული და ყოველის ცნობით სავსე იქნება. ფასი ისევ ის დარჩება. მიიღება დასაბეჭდად ყოველ გვარი განცხადებანი. ფასი წიგნის თითო გვერდისა საგანცხადებოდ თავში 12 მ., ბოლოში 5 მან., ნახევარი გვერდი 3 მან.

მსურველთ შეუძლიან მიჰმართონ: 1) გამომცემელს სათავად-აზნაურო ბანკში; 2) წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიაში და 3) მაქსიმე შარაძის სტამბაში. (10—3)

ტფილისი, 12 სექტემბერი

ჩვენის გაზეთის გუშინდელ ნომერთან ტფილისის ხელისმომწერლებს დაურიგა დრამატიულის საზოგადოების კომიტეტმა უშველებელი სათეატრო აფიშა. ეს აფიშა გვაუწყებს, რომ წელსაც გვექნება სამშობლო თეატრი და, როგორც შარშან, წელსაც მის საქმეებს წარმართავს სათეატრო კომიტეტი. აფიშა იმისას-კი არას გვეუბნევა, როდის დაიწყება წარმოდგენების მართვა, ამ სექტემბერსავე, თუ ოქტომბრის, ან ნოემბრის დამდეგს.

სათეატრო კომიტეტს, როგორც სჩანს, წრევანდელ სეზონში მდიდარი რეპერტუარი ექნება; ახალი ორიგინალი და ნათარგმნი პიესები ჩამოთვლილია ორმოცამდე; მხოლოდ ორს პიესას სახელი არა აქვს აფიშაში დარქმეული. არ ვიცით, ეს შეცდომაა, თუ ბ-ნ ავ. ცაგარლისა და ი. გულისაშვილის პიესები ჯერ ისევ მოუნათლავია, ან არ-დაბადებულიც-კი. თუ ეს მოსაზრება მართალია, მაშინ რა საჭირო იყო მათი აფიშაში გამოცხადება.

ამ მცირედს უსწორ-მასწორობასა და უსიამოვნო უხერხულობას რომ გვერდი ავუქციოთ, სხვაფრივ სათეატრო განცხადება სიამოვნებით მისაგებებელი ამბავია. ეტყობა, ჩვენს კომიტეტს ზაფხული ტყუილ-უბრალოდ არ გაუტარებია, გარჯილა დასის შედგენისათვის. როგორც აფიშიდამ სჩანს, წელს დასი სრული იქნება: ყველა ჩვენის ნიჭიერ არტისტების სახელია იქ მოხსენებული და, თუ მართლა ყველამ მონაწილეობა მიიღო, ჩვენის თეატრის ბედი წალმა დატრიალდება და ამ წლევანდელ სათეატრო კრიზისის დროს, როცა არც ოპერა და არც რუსული დრამა იქმნება, ბევრნი შეჰნატრებენ ჩვენის სცენის იღბალს.

ახალი პიესები წრევანდელ სეზონში, როგორც უკვე მოვიხსენეთ, ბევრი აქვს დრამატიულ დასსა. მარტო ახლად დაწერილი ორიგინალი პიესები ცამეტამდეა ჩამოთვლილი ზემოხსენებულსავე აფიშაში. ვისურვებთ მხოლოდ, რომ დრამატიულმა კომიტეტმა ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს პიესების ენას, ჩვენს საცოდავს ქართულს. სამწუხაროდ, უნდა გამოვტყდეთ, ხშირად ისეთი საუბარი გაგვიგონია სცენიდამ, რომ ყურებში თითი დაგვიცია. ზოგიერთს პიესაში ისეთი ქართულია ხოლმე, რომ ადვილად ვერ მიხვდება კაცი, რა ენაზეა დაწერილი პიესა. ეს დიდი ნაკლია და კომიტეტი დიდს სამსახურს გაუწევს ქართულს თეატრს, უკეთუ ეცდება და, შეძლებისამებრ, ამ ნაკლს თავიდგან აიცილებს. პიესას თითქმის ნახევარი ღირსება ეკარგება, როდესაც, რიგიანის ქართულის მაგიერ, რაღაც „ქარგონი“ გესმის. ღვთის მადლით, ტფილისში ჯერ კიდევ მოიპოვებიან ქართულის მცოდნენი და, უეჭველია, არ დაჰზარდებიან კომიტეტს, გადაათვალიერონ თავ-თავის დროზედ ის პიესები, რომელიც განზრახული იქნება წარმოსადგენად.

ქართულის თეატრის საქმე ეხლა სულ სხვა არის, ვიდრე ამ ათის წლის წინად იყო. ჩვენს თეატრს ეხლა თავისი ისტორია, ტრადიცია და გამოცდილება აქვს. ამისათვის სასურველია, რომ თეატრის გამგეთათვის ამ გამოცდილებამ უნაყოფოდ არ ჩაიაროს. წარსული გამოცდილება გვიჩვენებს, სხვათა შორის, რომ სექტემბერსა და ოქტომბერში მცირედი შემოსავალი აქვს თეატრს. ამიტომ კვირაში ორჯელ წარმოდგენის მართვა, როგორც აცხადებს აფიშა, ჩვენის აზრით, დიდი გაბედულობა იქნება. ჩვენა ვგონებთ, სრულიად საკმარისი უნდა იყოს, ჯერ-ჯერობით კვირაში ერთი წარმოდგენა გაიმართოს, ხოლო კარგად, წესიერად და, შეძლებისამებრ, უნაკლულოდ, რათა საზოგადოებას გული არ აუცრუვდეს პირველშივე და თეატრს არ შემოსწყრეს.

საზოგადოდ ჩვენ, ქართველები, უდისციპლინო ხალხი ვართ და ეს სენი ხომ უფრო თეატრის მოღვაწეებსა სჭირთ საზოგადოდ და ჩვენებურებს კერძოდ. ხშირად მომხდარა და, სულით და გულით ვისურვებთ აღარ მომხდარიყოს, რომ აფიშაში გამოცხადებულ პიესის მაგიერ, მეორე გვინახამს სცენაზედ; დამსწრე საზოგადოებას მოთმინება გამოჰლევია ანტრაქტებში ცდით; არტისტებს სცმიათ უმზგავსი და სასაცილო ტანთსაცმელი უშნოდ და ულაზათოდ და სხვ. ესე ყოველივე წვრიმალებია, სათქმელადაც არა ღირს, მაგრამ რას იზამთ, რომ ყოველ წვრიმალსა და იწაბაწა საქმეს ისეთი დიდი მნიშვნელობა არსადა აქვს, როგორც სათეატრო მოღვაწეობაში.

დასასრულ, ვისურვებთ გულწრფელად, რომ წელს დრამატიულ საზოგადოებას გამოეჩინოს უფრო მომეტებული მხნეობა და სიყვარული საქმისა. დარწმუნებულნი ვართ, მაშინ ქართულის თეატრის საქმე სანაქებოდ წავა და აღარაფრის შიში აღარ ექმნება.

Z

◆

ოფიციალური ცნობანი ხოლერის შესახებ.

მიხეილის სამკურნალოში 11 სექტემბერს 2 ავადმყოფი იყო; მორჩა სტეფანე ჭრელაშვილი. დილით 12 სექტემბერს დარჩა 1.

რკინის გზის სამკურნალოში მიიყვანეს 11 სექტემბერს სოფიო ლუგოვაია (საპიორის ქუჩა, საექიმო გამგეობის სადგური).

12 სექტემბერს ქალაქში იყო სულ 4 ავადმყოფი.

სიღნაღის მაზრაში 8 სექტემბერს გარდაიცვალა ერთი პატარა ქალი და მწყემსი ალაზანზედ.

გორის მაზრაში: სოფ. დიდსა და პატარა მეჯვრისხევში ხოლერა განელდა. სოფ. ზერტში ავად გახდა 3, გარდ. 1, მორჩა 1, დარჩა 1; ახრისში ავად გახდა 2, გარდ. 2, ავად აღარავინ არის; ციცაში ავად გახდა 7, მორჩა 3, გარდ. 4, ავად აღარავინ არის; ქვემო-ჭალაში ავად გახდა 3, მორჩა 3, დარჩა 2; სამთავისში ავად გახდა 1; მარანაში ავად გახდა 1; კარბში ავად გახდა 3, გარდ. 1, დარჩა 2.

ახალქალაქის მაზრაში 10 სექტემბერს ავად გახდა 4, მორჩა 2, გარდ. 1; თვით ქალაქში გარდ. 1. სულ სოფლად 5 ავადმყოფია, ქალაქად 9.

◆

ახალი ამბავი

⁂ ჩვენ მივიღეთ ბაქოდგან ბ-ნ ა. ჩაგანოვის მიერ გამოგზავნილი სოფლად ხოლერით დაზარალებულთა სასარგებლოდ 5 მან. ამ ფულისა იყო 964 მან. 85 კაპ., ამითი შესდგება 969 მან. 85 კაპ.

⁂ განჯის გუბერნატორი იუწყება: განჯაში 8 სექტემბერს ავად გახდა 2, ავად არის 2; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 127, მორჩა 52, გარდ. 73, ავად არის 152.

ყარსის გუბერნატორი იუწყება: 10 სექტემბრიდგან ხოლერა გაჩნდა ოლ-

ფელეტონი

მოლოდინი

მცირე რამ ნისლის ნაწყვეტი
მთას ეკრა ბუმბულივითა,
ჰშვენოდა ფიქრებში გართვა
მინდორზედ სუმბულივითა.
მთის წვერებს მოსდევს ნიავი
ნადირის სუნსულივითა,
ბუნება ნანობს ცოდვასა
იუდა სულ-კრულივითა.
— რას უცდი, ნისლო პატარავ,
დაკერებულო მთაზედა?
— რასა? ვერ თუ ჰგრძნობ, ძმობილო,
მტერი ჩამიდგა გზაზედა?
როგორ ვერ ჰხედავ გვალვისგან
დამწვარ-დაბუგულს მიწასა;
თავის ძმისწული მოუკლავ
გაბოროტებულს ბიძასა;
მშობლებზედ მეტად სწყენია
გაზდილის ერთგულს ძიძასა.
თვალები მთელის ქვეყნისა
შემომცქერიან თხოვნითა,
ეგებ როგორმე დავიხსნა
სოფლის ამაგი გოლვითა.
სწორედ ამისთვის დავფიქრდი
და ვეხვეწები ზეცასა,
გამზარდოს, მომცეს ძალ-ღონე,
ვეწამლო ქვეყნის კვნესასა;
გამზარდოს, ღრუბლად მაქციოს,
მძიმედ დამტვირთოს წვიმითა,
რომ მოვრწყო გული ქვეყნისა
დაუშრომელის მილითა;
ავაჭიკჭიკო ბულბული
საღამოთი და დილითა
და წარვსდგე ჩემს მეუფესთან
ხელთ ანთებულის ცვილითა.

ვაჟა-ფშაველა

◆

„ყველაი დავკარგე!..“

I

ცხვრის ბინის ახლო ათას ფრად აყვავებულ პატარა ბექობაზედ, რომელიც კოხტად შეკრულს თაიგულს ემგზავსებოდა, იჯდა ყვავილთა დედოფალი, სიმშვენიერის გვირგვინი, ჯერ ახლად გადაშლილი მთიულის ქალი და აღგზნებულის თვალით გატაცებით უმზერდა ყვავილების ჯგუფებს, რომელთაც ერთმანეთისთვის თავი-თავს გადაედოთ და ასე ჩახუტულებს საღამოს ნიავზედ ტკბილ, შეუშფოთებელ და შეუხამებელ ალერსისათვის მიეცათ თავი. ზევიდგან-კი წყვილი, ერთმანეთის სიყვარულით გატაცებული პეპელა დაცქრიალებდა და იმის რჩევაში იყო, თუ რომელი ჯგუფი ყვავილებისა უფრო უკეთესს მასპინძლობას გაუწევდა და გულსა და სულს გადუშლიდა. ორი მოარშიყე ხან რომელს ყვავილების ჯგუფს დააფრინდებოდა და ხან რომელს. ისინიც მოარშიყეთა ყოველ მიტანებაზედ სწყვეტდნენ ალერსს, ულებდნენ გულს და ნებას აძლევდნენ დამტკბარიყო წყვილი პეპელა მათის გამაცოცხლებელის ნექტარით და, როდესაც გულ-ასუყებული ორი მოარშიყე აფრინდებოდა ერთის ჯგუფიდგან და ახლო სხვა ჯგუფს დაუწყებდა გარს ფრენას, ისევ ჩაეხუტებოდნენ და განაგრძობდნენ ტკბილს ალერსს. უმზერდა გატაცებით ამას ამათ შუა მჯდომი ქალი და ტუჩებზედ ტკბილი ღიმი უქროდა; ყელ-მოღერებული შესცქეროდა ამათს ალერსს და იმასაც გულში ულვიოდა სიყვარულის ნაპერწკალი. ხომ ამ ორის წლის წინად სწორედ ამ ადგილას აიღო ყვავილებისაგან მაგალითი; ხომ ყვავილებმა სუნთან ერთად გარდასცეს ამ ბუნების შვილს სიყვარულის თესლი, რამაც იმის გულში შესაფერი ნიადაგი იპოვა და ფესვები ღრმად და მკვიდრად გაიდგა. ბუნების შვილმა ბუნებისაგან აიღო მაგალითი და, როდესაც ამ ორის წლის წინად ესა და ის სწორედ ამ ადგილას ისხდნენ და, ორივენი გაჩუმებულნი, ყვავილების ალერსს თვალს ადევნებდნენ, თავისდა უნებურად გადაჰხარა თავი და თავისი მთრთოლვარე ტუჩები იმის მთრთოლვარევე ტუჩებს შეახო. რამ გამოიწვია ეს მოძრაობა იმათში, ისინი ამას ვერ მიჰხვდნენ და არც ამის გამოკვლევას გამოსდგომიან. ასე ჩახუტულები კარგა ხნობამდის იყვნენ და აჩქარებით ჰკშინავდნენ. როდესაც გააშორეს ტუჩები, ორივემ თითქმის

თის ოლქში. 4—9 სექტემბერს ოლთახს, ნარიმაკს და ტოპრაკალში ავად გახდა 10, გარდ. 3, ავად არის 7; ყარსში ავად იყო 23, ავად გახდა 1, მორჩა 5, გარდ. 1, ავად არის 18.

ერევნის გუბერნატორი იუწყება: ერევანში 7—8 სექტემბერს ავად იყო 14; მთელს გუბერნიაში ავად იყო 89, ავად გახდა 44, გარდ. 23, მორჩა 69, ავად არის 41.

დაღესტნის ოლქის გუბერნატორი იუწყება: 10 სექტემბრიდგან შურაში ავად არავინ გამხდარა, დაღესტნის სხვა-და-სხვა მაზრაში 9 სექტემბრიდგან ავად გახდა 48, გარდ. 34, მორჩა 46, ავად არის 294.

⁂ ქუთაისის გუბერნიაში აგვისტოს თთვეში საქონლის ჭირით ავად გახდა 94 ცხენი, ამათში 90 მოკვდა. ზუგდიდის მაზრაში — 37 სული; სუხუმის ოლქში—16 სული; მთელს გუბერნიაში ავად გახდა თურქულით 100 სული, გადარჩა 60 სული. ეს ჭირი უფრო გავრცელებულია რაჭაში.

⁂ პარასკევს, 11 სექტემბერს, ტფილისის ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე სურენ მიკირტიჩის ძის მუტაფოვისა, რომელიც კარაპეტ მუტაფოვს 225,000 მ. ედავებოდა. სურენ მუტაფოვის ვექილმა ბ-ნმა შაიკევიჩმა წარადგინა წერილები და ამტკიცებდა, რომ მიკირტიჩ მუტაფოვის სიკვდილს შემდეგ ქონების განაწილების დროს სურენ მუტაფოვს თავისი წილი არ არგუნესო. კარაპეტ მუტაფოვის ვექილმა-კი ბ-ნმა რეიტერმა წარუდგინა სასამართლოს მედიატორეთა განაჩენი ხსენებულ ქონების განაწილების შესახებ. ოლქის სასამართლომ ამ საქმის განაჩენის გამოცხადება 16 სექტემბრისათვის გადასდო.

⁂ 10 სექტემბერს, $7^{1}/_{2}$ საათზედ, გოლოვინის პროსპექტზე პოლიციელმა პოჟიდაევმა შეიპყრო ერთი ქალი, რომელსაც პოლიციის ტანთსაცმელი ეცვა. როდესაც გამოიკითხეს ამ ქალის ვინაობა, აღმოჩნდა, რომ ეს ქალი პოლიციელის ცოლი ყოფილა და ქმარს უთქვამს, ჩემი ტანისამოსი ჩაიცვი და ჩემი მოვალეობა აასრულეო.

⁂ განჯის სადგურში 11 სექტემბერს ღამის 3 საათზედ მეორე სართულიდგან გადმოვარდა ცხელებით ავადმყოფი მემაშინე ტაჩენკო და 5 საათზედ გარდაიცვალა.

⁂ ბაქოდგან გამოტანილ იქმნა ნავთი აგვისტოს თთვეში 6,227 ცისტერნის ვაგონი.

⁂ განჯის სადგურში 11 სექტემბერს, ღამის 2 საათზედ, შესულიყვნენ კანტორაში ავაზაკები დ̃ ეწვალებინათ კასა, რომელშიაც იყო 2,465 მან. 79 კაპ., მაგრამ ვერ გაეღოთ.

⁂ ჩვენ მივიღეთ „ქართველთა წიგნების გამომცელ ამხანაგობისაგან“ მეოთხე ტომი ალექსანდრე ყაზბეგის თხზულებათა. ამ ტომში მოთავსებულია: „ნამწყემსარის მოგონება“, „ნინო“, „ბერდია“, „ოლბერტ“, „ელეონორა“, „ჩინოვნიკი ელურიძე“, „ხევის ბერი გოჩა“, „ციცკა“ დ̃ „ფათი“. წიგნი ლამაზად არის გამოცემული, შეიცავს 358 გვერდს და ჰღირს 1 მან. 20 კაპ.

⁂ მარელისი: 11 სექტემბერს, როდესაც მატარებელი № 2 იმ ადგილს მივიდა, სადაც ზვავი არის ჩამოწოლილი, ამ დროს დაეჯახა ვაგონებს მესამე კლასისას და ვაგონი, რომელშიაც რკინის გზის უფროსი ინსპექტორი გრაჩოვი იმყოფებოდა, ლიანდაგიდგან გადმოაგდო. უბედურება არა მომხდარა-რა.

⁂ სოფ. მეტეხი (გორის მაზრა): ხოლერის დასახვედრად ყოველმა მხარემ, ყოველმა ქალაქმა და ყოველმა სოფელმა რაიმე ღონისძიება იხმარა, მეტეხელებმა-კი თავი არ შეიწუხეს. მაშინაც-კი, როცა ერთი და ორი კიდეც გარდაიცვალა ხოლერით, ყველა ამას გაიძახოდა: „მადლობა ღმერთსა, ჯერ მშვიდობიანობაა ჩვენს სოფელში, რად გვინდა ან ყარაული, ან წამლების მოპოვებაო!“ ეს რომ მარტო შეუგნებელს ხალხს ეთქვა, კიდევ ეპატიებოდათ, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ამას გაიძახდნენ აზნაურშვილებიცა, რომელნიც აქ საკმაოდ ბლომად არიან. თითონ სანიტარებიც, რომელთა მოვალეობა ის არის, რომ სოფელი გააფრთხილონ და სუფთად შეინახონ, ნაკლებად აქცევენ ყურადღებას ყოველსავე სასანიტარო წესების ასრულებას. ისინი მარტო სახელით არიან სანიტარები და არა საქმით. ამას წინად, როდესაც ხალხი შეიკრიფა და ლაპარაკი დაიწყეს, რა საშუალებანი უნდა მივიღოთ სენის ასაცილებლადაო, ერთი სანიტართაგანი გაიძახოდა: „მე ყველანი უკან უნდა დამდევდეთ, სანიტარებიცა და მამასახლისიც, რადგანაც მე დიდის მამულის პატრონი ვარ და დიდი გვარიშვილიცაო. ყველამ თანხმობა გამოუცხადა, ოღონდ-კი რაიმე საშუალება მიიღეთ ხოლერასთან საბრძოლველადაო. მაშინ იმან თავის სიტყვა ისევ გადათქვა და ასე დაიწყო: „რა სარგებლობა მაქვს, რომ სანიტარი ვარ, რად შევიწუხებ თავს და სოფელში რად ვივლი აქა-იქ“. ამას გარდა, ბევრი რამე წარმოსთქვა პატივცემულმა სანიტარმა, მაგრამ ვჩუმდებით. საზოგადოდ, ძალიან ცუდი ფერი ედო ამ ყრილობას. იმის მაგიერად, რომ საგანზედ ელაპარაკნათ, ყველამ თავ-თავიანთი ძველი დავთრები გაშალეს და ლანძღვა-გინებით გაათავეს ლაპარაკი.

ესენი აქ ლანძღვა-გინებაში ატარებდნენ დროს და იმას-კი არ უყურებდნენ, რომ ხოლერა კარს მისდგომოდა. მეტეხს გარშემო თითქმის სულ ხოლერიანი სოფლები ერტყა: ახალქალაქი, ჩოჩეთი, ხანდაკი და სასირეთი. აქაც გაჩნდა ბოლოს ხოლერა და რამდენიმე კაცი გარდაიცვალა, როგორც უკვე გეუწყათ მთავრობის პირით.

⁂ ს. მეღვრეკისი (გორის მაზრა): ამ ათის დღის განმავლობაში გარდაიცვალა სულ ოცი სული, მორჩა ხუთი. რითი მორჩნენ? რითი და არაფრით, ისე: უწამლოთ, უექიმოდ და მოუვლელად. ეს ხუთი სული ისე მორჩა და ის ოცი სულიც ისე გარდაიცვალა, რომ არც ერთს არ ჰღირსებია არც ექიმისა და არც ფერშლის ნახვა, თუმცა სამს ვერსზედ გვაქვს ცხინვალში გამართული სახელმწიფო სამკურნალო, სადაც გვყავან: ერთი ექიმი და სამი ფერშალი, მაგრამ ისინიც ვეღარავის გასწვდნენ. პირველად გვინახულა 17 ივლისს ერთმა ფერშალმა. ის იყო და ის, მიგვანებეს თავი და ვიყავით ღვთის ანაბარად დატოვებულნი.

ჩვენის სოფლის ხალხი მთლად გახიზნული იყო ვენახებში. მივანებეთ თავი მზა მოსულს ყანებს და დავტოვეთ სახლები უპატრონოდ. რომ შემოსულიყო ვინმე ჩვენს სოფელში, აოხრებული ეგონებოდა მთელი სოფელი. სოფელში არიან მხოლოდ ისინი, ვისაც ვენახებში ან მინდორში ავად გაუხდება ვინმე, ის მაშინვე ანებებდა თავს დროებით გაკეთებულს ქოხსა და გამორბოდა სოფლისაკენ გარდაცვალებულის დასამარხად, რადგან ფასით არავინ ისურვა დადგომა, ოთხი ღვთიანი გლეხი გამოვიდა თავის სურვილით უფასოდ და ისინი ჰმარხავდნენ. როგორ ჰმარხავდნენ, ის ერთი ღმერთმა იცის და მეორე თვით დამმარხველებმა. დამმარხველების საპკურებელი წამალი ერთი თუნგი ნუნუა იყო, რომელსაც აძლევდნენ მიცვალებულის პატრონები. ამ ნუნუათი ისხურებდნენ მუცლებს და ისე ეზიდებოდნენ მიცვალებულთა გვამებს. არც დაუშლელო კირო და არც „კარბოლის სიმჟავეო“.

⁂ სოფ. კირცხი (ზუგდიდის მაზრა): დიდად საქებურად და სამაგალითოდ მოიქცა ჩვენი სოფელი ამ გაჭირვების დროს. გაჩნდა თუ არა ხოლერა დაბა ანაკლიაში, საცა გარდაიცვალა ორი ძმანი ჭურღულიები და ჩარგაზია, ფეხზედ დადგა მთლად მაზრა ზუგდიდისა. სხვათა შორის შეიკრიფა ჩვენი სოფელი და გადასწყვიტა ცალკე სადგურის აგება და ოთხის კაცის დაქირავება ჯამაგირით ავადმყოფთა მომვლელთათვის, თუ ვინიცობაა გაჩნდებოდა სენი ჩვენს სოფელშიც. ამ დროს გამოვიდნენ 11 გლეხ-კაცნი და განუცხადეს კრებას, რომ აი, ჩვენ ვიკისრებთ მაგ საქმეს, მოვუვლით ავადმყოფებს, შევასრულებთ ყოველ საქმეს, რასაც-კი სოფელი დაგვავალებს ხოლერის ასაცილებლად, და ამისათვის არავითარს სასყიდელს არ მოვითხოვთო. ამას გარდა, ამ 11 კაცმა სთხოვა მამასახლისს, ჩამოგვართვით პირობა, რომ გემსახურებით სოფელს ყოვლის მორჩილებით დაუზოგველად და თავგანწირვითაო. მოგვყავს შინაარსი იმ პირობისა შეუცვლელად:

„ჩვენ თერთმეტნი, სახელდობრ: ყუდნათი, და ჯამუ ჯიქიებნი, ჯამაია სახურია, შარუ კვირტია, ბესო მალანია, ოქროპირა ცავა, ანდრი ჯანჯღავა, ბიბუ ჯალაღონია, ტაგუ სეფანია, პეპუია და ლექინია მებონიები ვღებულობთ თავიანთ თავზედ პირველის აგვისტოდგან პირველს ნოემბრამდის ამა წლისა, ესე იგი სამის თთვის განმავლობაში, თუ ვინმე ავად გახდა ხოლერით, გინდ სხვა საშიშარის ავადმყოფობით კირცხის საზოგადოებაში აზნაური, სამღვდელონი და გლეხნი, წავიყვანოთ, დავაწვინოთ დანიშნულს საავადმყოფოში, ვემსახუროთ ერთგულად და სინიდისიერად; თუ ვინმე გარდაიცვალა, დავასაფლავოთ მთავრობის დარიგებისამებრ დანიშნულს ადგილზედ ერთი მეორის შემწეობით და თუ ეს ასე არ შევასრულეთ და მცირედი განდრეკილება აღმოჩნდა ჩვენის მხრით, მაშინ, როგორც მთავრობის მომტყუებელნი და საზოგადოების მოღალატენი, მივეცეთ ჩვენ კანონის ძალით დასჯას სისხლის სამართლის წესით“.

ასეთი პირობის წერილი დაამოწმებინეს და მიაბარეს იმავე სოფლის აზნაურს ტაგუ ჯიჯიხიას. ჯიჯიხიამ ამ პირობის ჩაბარების შემდეგ იმ თერთმეტს საჯაროდ უთხრა შემდეგი: ძმებო და მეზობლებო, მე ჩემის მხრით გიცხადებთ დიდს მადლობას დღევანდელის თქვენის სინიდისიერისა და პატიოსნებით სავსე ქცევისათვის. ფული არავის არა სძულს და, უეჭველია თქვენთვისაც საჭირო იქნებოდა, მაგრამ თქვენ აღიარეთ თქვენის სოფლის სიყვარული დ̃ უსასყიდლოდ იტვირთეთ ეს მძიმე მოვალეობა. ამ გვარი სულგრძელობა, თანაგრძნობა და გამბედაობა ამისთანა საშიშარს დროში თქვენისთანა კაცებისაგან ერთობ დიდი მოსაწონია და შესანიშნავი. მადლობა ღმერთს, რომ აგეთი კარგნი ყოფილხართ. აწი თქვენ იცით, როგორც გაამართლებთ თქვენს სიტყვას. იყავით მხნედ და მღვიძარედ. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი და მეც, რაც შემეძლება, თქვენთან ვიქნები შემწედ. მთელმა ხალხმაც დიდი მადლობა გადაუხადა ამ 11 მადლიანს კაცს და აღუთქვა, თქვენს სამსახურს საზოგადოება დააფასებს და მასთან, რაც საჭირო იქნება ამ შემთხვევისათვის, წამლები, თუ საავადმყოფო სახლის გაკეთება, ამას საზოგადოება ყოველსავე მოგიმზადებთო.

⁂ ს. ჰკლდეკი (გორის მაზრა): ჩვენს სოფელს ხოლერა ჯერ არა სწვევია. ღმერთმა დაგვიფარა ამ დიდისა და მოსალოდნელის სენისაგან. მისმა ხმამ დიდი და საზარელი ზარი დასცა ჩვენს სოფელს. სადაც გახდებოდა ვინმე ავად, ეგონათ, ხოლერით არის ავადაო; და დიდს ვაი-ვაგლახში ჩაცვივდებოდნენ ხოლმე. ზოგს უნდოდა გახიზ-

---

ერთ-ხმად წამოიძახა: „ჩემო ყველავ“, ძთვალი-თვალს გაუყარეს. თითქოს ამათ თვალით ერთმანეთის შეჭმა ჰსურდათ, რომ ამ გვარად სამუდამოდ ერთ არსებად ქცეულიყვნენ.

უმზერდა ყვავილების ალერსს ქალი და აგონდებოდა ეს ამბავი და ქალის დამამშვენებელი და უპირველესი ღირსება უმანკოებისა და კრძალულებისა სიწითლე იმის ლოყებს არა შორდებოდა. ქალს ეხლაც აჩქარებით გული უცემდა იმისთვის, უნდოდა ეხლაც თავ-დავიწყებით ჩაჰკვროდა გულში, მაგრამ როგორ მოეხერხებინა, როდესაც ის შორს იყო; როდესაც ესა და ის ამ ორის წლის წინადვე დააშორეს. ის ჯარის-კაცად გაიწვიეს და კენჭიც ერგო. მას შემდეგ ერთმანეთი აღარ უნახავთ... „ნინიავ, ნინიავ!... ჩემო ყველავ, რაისთვის არ იკითხავ შენთვის მკვდარს?!“ გრძნობით წამოიძახა ქალმა და ისევ ისე მიტვრინდა. რამდენჯერმე გონებაში გადითვალა, თუ რა ხანი კიდევ უნდა იყოს ნინია ჯარის-კაცადა და როდის მობრუნდებაო. რა ლამესაც მობრუნდება, მაშინვე, ჰფიქრობდა ქალი, ჩემს თავსა სთხოვსო მამაის და მერე-კი ვეღარავინ გაგვაშორებს. მაგრამ ამ დროს ელვასავით გაურბინა თავში აზრმა, რომ მამა ნებას არ მისცემს, რადგანაც ნინიას არავინ ჰყავს და არცარა აქვს-რა, რამდენისამე სულის ცხვრის გარდა, ისიც იმის მამისაგან მიცემული, როცა ის ამათ მეცხვარედ ედგათ. ცოტა არ იყოს, ამ აზრმა შეაფიქრიანა და შეაღონა. უეცრივ გაუქრა ტუჩებზედ ღიმი და სახე მოექუშა. „ნინიავ, ნინიავ, მამაიამაც რო ნება არ დამრთოს, მე თავს არ დაგანებებ, გამოვიქცევი, ყველგან წამოვალ შენთან!... რაი ვუყო, რო არავინა გვყავს და არც რაი გაქვს! მე-კი მიყორხარ და...“ გარდაწყვეტით წარმოსთქვა ქალმა ცოტა ხნის დალონების შემდეგ და ისევ თავი მოიმხიარულა.

— ქალავ, რას ჩაფიქრებულხარ?! უკანიდგან მოესმა ვიღასიც ხმა. ქალმა მიიხედა უკან და იმის თვალს წარმოუდგა ჯარის-კაცი, ქართულის დრუჟინის ტანთსაცმელში.

— ბარამ, შენი კვნესამე, საით გივლია?! მოხველ მშვიდობით!... სიხარულით წამოვარდა ფეხზედ და ალერსიანად დაუწყო მზერა.

— დამხვდი მშვიდობით! როგორ არიან თქვენები, დედა სად არის?...

— ვეძას *) წავიდა და ჯერეთ არ მოსულა. კარგად არის, შენი კვნესამე!

— ვეძასა?

— ჰო. საით გივლია, ბარამ?

— სანადიროდ ვიყავ და ვერა მოვკალი-რა. მინდოდა უფროსისთვის წამეღო ნანადირევი, მაგრამ, დასწყევლოს ლომისამ, არა შემეფეთა-რა.

— სად უნდა წაგელო?

— დუშეთს, სადაც ვარ.

— ახლა მიჰდიხარ?

— ჰო, შინ ჩავივლი და ფეხად ისევ გავბრუნდები.

— მაგრე ჩქარა რაისთვის მიხვალ, რატომ არ დარჩები ცოტა ხანს?

— განა ცოტა ხანია აქა ვარ. ერთი კვირაა, რაც შინ მოვედი და თუ ხვალ არ გამოვცხადდი, არ იქმნების.

— მშვიდობით, ქალავ, დედაის მოკითხვა! ცოტა ხნის ლაპარაკის შემდეგ გამოეთხოვა ბარამი და წასასვლელად გაბრუნდა.

ქალმა-კი რაღაც ყოყმანობა დაიწყო; უნდოდა ეკითხნა რამე, მაგრამ ვერ ახერხებდა, სცხვენოდა. ბოლოს, როცა ბარამი კარგად დაჰშორდა, უკან დაედევნა და აკანკალებულის ხმით დაუძახა:

— ბარამ, შენს მზესა, ნინიას ვერ ხედულობ, ისაც სალდათად არ არის?!

— როგორ არა, სულ ერთად არა ვართ.

— როგორ არის?

— რა უჭირს, სმა და ჭამა არ აკლია და ქალებთან ქეიფი, ღიმილით უთხრა ბარამმა.

— სტყუი, ის ქალებთან არ იქეიფებს! წყრომით უპასუხა ქალმა და გამოტრიალდა.

II

დაღამდა. დიდი ხანია მეცხვარეებმა თავ-თავიანთი ადგილები მონახეს და ცხვარი დააბინავეს. სულ მაღლა მოზარდი დააყენეს, რომ ღამე ქვევით, ხევში, სადაც ბინა აქვთ, არ დასცხეს; მას მოაყოლეს თოხლობა, მერე ყოჩობა და სულ ქვევით, ზედ ბინის გვერდით, მეწველი ცხვარი დააყენეს. თითონაც დაიყვნენ და ზოგი მოზარდს მოუწვა გვერდით და ზოგი კიდევ დანარჩენებს. ძაღლებიც, მათი ერთგული მეგობრები, მეცხვარეებთან ახლო წამოეყარნენ და პატრონებივით ყურ-მახვილად სძინავთ. ყოველ ცხვრის დაფშვენვაზედ, ყოველ იმათ

---

*) მჟავე წყალი.

ვნა, ზოგს ტყეში გადაკარგვა, მაგრამ მერე წამს გაიგონებდნენ, რომ, ხოლერით-კი არა, მუცლის გვრემით იყო ავადაო, ან კიდევ უბრალო ფაღარათობითაო. ამ ნაირს მოუსვენრობაში იყო ხოლერის ზარით შეშინებული ხალხი. აქაურები სხვებსავით გულ-ცივად არ მოეკიდნენ ხოლერის საქმეს: ყოველის ხერხითა და საშუალებით დაუწყეს ბრძოლა. აქაურმა მღვდლებმა და თ. რევაზ ამირეჯიბმა იკისრეს ამ ბრძოლის თავდარიგი და შეჰკრიბეს რავდენიმე მანათი. ყველას, ძალით თუ ნებით, ართმევდნენ ფულს, რომლითაც დააყენეს ყარაულები ყველა სოფელში მისავალს გზებზედ, რომ ხოლერიანი არავინ არ შემოეშვათ. ეს ყარაულები თოფით ხელში იდგნენ სოფლის გზებზედ, ყოველს მგზავრს იჭერდნენ, ეკითხებოდნენ, საიდგან მოდიხარო, და თუ გაიგებდნენ, რომ ხოლერიან სოფლიდგან მოდიოდა, მაშინვე გაასწავლებდნენ გზას კაკლებიანს ჭალაში მდგომს საბძელში: „თუ გინდა იქ იყავ სამს დღეს, თუ არა-და, დაბრუნდი შენს სოფელშიო“. ამის შემდეგ თ. რევაზ ამირეჯიბმა ტკბილის სიტყვით გამოაღებინა აქაურ თავადიშვილებს ფული ექიმის მოსაწვევად. დიდის მადლობის ღირსია აგრეთვე გენერალ-მაიორი თ. მიხეილ ამირეჯიბი, რომელმაც ამ კეთილს საქმეს შესწირა ხუთი თუმანი. მოგროვილის ფულით თ. რ. ამირეჯიბმა მოიწვია ექიმი მუსხელაშვილი, დაუნიშნა ჯამაგირი, მოატანინა წამლები და ჩააბარა ხალხის საექიმოდ. სათავად-აზნაურო ბანკმაც არ დაგვივიწყა და წამლები გამოგვიგზავნა. დიდი ამაგი დასდო სოფელს აგრეთვე თ. მიხ. ამირეჯიბის შვილმა, რომელიც ჯერ ისევ ოდესის უნივერსიტეტში სწავლობს. ეს ყმაწვილი კაცი არაფერს არ იშურებდა საწყალ და დავრდომილ ხალხისათვის. სადაც კი ავად გახდებოდა ვინმე, გლეხი თუ თავადიშვილი, მაშინვე იქ დაიბადებოდა: აძლევდა წამლებს და არიგებდა, როგორ მოქცეულიყვნენ. თითონვე დაჰქონდა სადეზინფექციო წამლები, შედიოდა დაურიდებლად გლეხისა თუ თავადის სახლში და აპკურებდა წამლებს. ყოველ ამ გაფრთხილებამა და ღონისძიებათა მიღებამ ხალხი დაამშვიდა და სენსაც სრულიად გადაარჩინა დღემდე. იმედია, დღეის შემდეგაც ჩვენის სოფლის მშვიდობიანობას არაფერი არ დაარღვევს.

⁂ ტფილისის მაზრის სამხედრო ბეგრის საკრებულო დაეძებს ქვემოხსენებულთ, რომელთა საცხოვრებელი ადგილი არ იციან და რომელთაც ამა 1892 წ. უნდა გადაიხადონ სამხედრო ბეგარა, ვითარცა 1871 წ. დაბადებულთ:

1) თეთრუაშვილს, ვასილ დავითის ძეს, სოფ. ნორიოს მცხოვრებელს.

2) წიკლაურს, ამბარცუმ ყაზარის ძეს, სოფ. დურნუკის მცხოვრებელს.

3) მარქარიანცს, მნაცაკან ვარდანას ძეს, სოფ. დურნუკის მცხოვრებელს.

4) ილითიანცს, არუთინ ილითას ძეს, სოფ. დურნუკის მცხოვრებელს.

5) ბაბლიშვილს, არუთინ გიორგის ძეს, სოფ. დურნუკის მცხოვრებელს.

6) წიკლაურს, თეოდორე ივანეს ძეს, სოფ. შავმთას მცხოვრებელს.

7) დემეტრაშვილს, იოსეფ ივანეს ძეს, სოფ. ბორჩალოს მცხოვრებელს.

8) პაპაშვილს, ალექსი გრიგოლის ძეს, სოფ. წავკისის მცხოვრებელს.

9) ბერიშვილს, გიორგი ივანეს ძეს, სოფ. საგარეჯოს მცხოვრებელს.

10) გულიაშვილს, ნიკოლოოზ ზაქარიას ძეს.

11) ერგემლიძეს, ეფრემ პავლეს ძეს, სოფ. დილომის მცხოვრებელს.

12) ფუციშვილს, გრიგოლ პეტრეს ძეს, სოფ. არხოტის მცხოვრებელს.

13) ავეტისიანცს, სააკ სარქისას ძეს, სოფ. სამშვილდის მცხოვრებელს.

14) ნაგდიანცს, გეურქ ვართანას ძეს, სოფ. სამქერედის მცხოვრებელს.

⁂ ამ თვის 8, 9 და 10 პოლიციის მეექვსე ნაწილში იპოვნეს სოფლებიდგან ჩამოტანილი ას ოც-და-ათამდე საზამთრო და ნესვი, რომელიც წაართვეს პატრონებს და გადაჰყარეს.

ნ უ ს ხ ა

იმისი, თუ რამდენი გახდა ავად, ან რამდენი გარდაიცვალა კავკასიაში აგვისტოს პირველიდგან თვის დამლევამდე.

	ავად გახდა	გარდაიცვალა	% გარდაიცვ.
ბაქოს გუბერნიაში	1520	1082	70,8
დაღესტნის ოლქში	9087	3841	42,3
განჯის გუბერნიაში	3151	1837	57,9
ზაქათალის ოლქში	640	357	55,8
ყარსის ოლქში	1491	607	40,7
ქუთაისის გუბერნიაში	216	111	51,4
ყუბანის ოლქში	19495	9955	51,1
სტავროპოლის გუბ.	9656	4842	50,2
თერგის ოლქში	9556	4773	49,9
ტფილისის გუბერნიაში	3499	1957	55,9
ერევნის გუბერნიაში	5702	3464	60,8
ქ. ტფილისს	94	54	56,4
ქ. კავკავს	210	100	47,6
ს უ ლ	64317	32979	51,3

ორთა შუა რიცხვით მუდამ დღე

	ავად ხდე.	იხოცებოდა
ბაქოს გუბერნიაში	48	34
დაღესტნის ოლქში	293	124
განჯის გუბერნიაში	102	59
ზაქათალის ოლქში	21	12
ყარსის ოლქში	48	19
ყუბანის ოლქში	629	319
ქუთაისის გუბერნიაში	8	4
სტავროპოლის გუბერნიაში	312	156
თერგის ოლქში	308	154
ტფილისის გუბერნიაში	113	63
ერევნის გუბერნიაში	184	112
ქ. ტფილისს	3	2
ქ. კავკავს	7	3

◆ ◆

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ფოთი. საზაფხულოდ ფოთის შუქიანი ზღვის პირი, არა წმინდებით გახრწნილი ჭაობიანი პალეოსტომის ტბის ნაპირები და საზოგადოდ დაბალი ადგილები ძალიან მოეწონა ხოლერას და კიდეც ჰსურდა თავისუფლად ნავარდობა ფოთის არემარეში და ხალხის ჟლეტა, მაგრამ დიდი და პატარა ფეხზედ დადგა და ხოლერას გზა შეუკრა. სხვათა შორის დიდი შრომა მიიღო მისმა მეუფებამ, ეპისკოპოსმა გრიგოლმა თავის ლოცვა-კურთხევითა, ხალხის დარიგებითა და დახმარებით და აგრეთვე ექიმმა ტერ-ნიკოლოსოვმა და სასანიტარო კომისიამ. მათის შრომის ნაყოფია, რომ დღეს, ამ სამეგრელოს ინდოეთში, ხოლერა თითქმის მოსპობილია და ხალხი სენს გადარჩენილია. მაგრამ ძლიერ საშიშია, სითამამემ, წინდაუხედველობამ ქალაქის მკვიდრთამ ხელ-მეორედ არ მისცეს შემთხვევა ამ სენს განედლებისა. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ხოლერის შიშით აქეთ-იქით სოფლებში გაფანტული ხალხი დღითი-დღე ბრუნდება ქალაქში. ქალაქს თანდათან სიცოცხლე ემატება. სოფლიდგან დაბრუნებული ხალხი თავს არ უფრთხილდება და ხილს არხეინად შეექცევა; საჭიროა ამას დროით მიაქციონ ყურადღება, რომ ხოლერა ხელ-ახლად არ მოედოს ხალხს. განა კარგია ალამიანმა ერთს ლელვსა, ან ერთს მტევანს იზაბელას ყურძენში გასცვალოს თავისი სიცოცხლე? სექტემბრის დამდეგს სუფსის რკინის გზის სადგურსა და ქ. ფოთს შუა დაიწყო სიარული „დილიჟანმა“, რომელიც, რაც ხოლერამ ფოთში იჩინა თავი, შეჩერებული იყო. დღესვე მოვიდნენ დასაპანლებულნი ცხენებით ჩამოსული გურულები, რომელთა დანახვამ მცხოვრებლები ძლიერ გაახარა, რადგანაც ამ ქალაქის მასაზრდოებელი გურიაა. გზის შეკვრამ მცხოვრებლების ყოფა-ცხოვრება ძლიერ შეავიწროა, რადგანაც აქამდის ყოველ გვარი სასმელ-საჭმელი ერთი-ორად იყიდებოდა. აწი იმედია გაიაფდება.

არ იქნება ურიგო, ცოტა ყურადღების მიქცევა იმ ადგილისა, სადაც ჩამოსული გურულები ბინადრდებიან. ფოთის ქალაქის მოადგილემ და კომისიის წევრებმა ხოლერის მძვინვარების დროს ყურადღება მიაქციეს იმ გარემოებას, რომ ფოთში წვიმიანს ამინდებში უეტლოდ გავლა არავის არ გაებედნა, რადგანაც ყველგან ქუჩებზედ წყალის დადგომა იცის. ქალაქის ამ ნაკლის ასაცილებლად მოინდომეს რიონსა და ოჯაპარჭინეს შორის თხრილების გათხრა და ორისავე მდინარის შეერთება. ამ ხელოვნურად გაყვანილის რუს საშუალებით მთელი წვიმის წყალი ამ მდინარეებში დაიწურებოდა და ხალხი გადარჩებოდა ყოველ დღე წყალში ტლაპუნს. იმედია, რომ ამ კეთილს საქმეს კეთილი ბოლო მიეცემა.

მოსე ჯორბენაძე

◆ ◆

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ჟურნალ „Образованіе“-ს უკანასკნელს ნომერში დაბეჭდილია წერილი დ. დ. სემიონოვისა ქ. ირკუტსკის სწავლა-განათლების შესახებ. მოგვყავს ზოგიერთი ცნობა ამ წერილიდგან. ირკუტსკში 19 სამოქალაქო სკოლაა. ამ სკოლებში 1,222 მოწაფე სწავლობს. ეს რიცხვი რომ ირკუტსკში მცხოვრებთა რიცხვს (50,000) შევუდაროთ, აღმოჩნდება, რომ 40 მცხოვრებზედ ერთი მოწაფე მოდის. პეტერბურგსა და მოსკოვში-კი 70 მცხოვრებთა შორის ერთი მოწაფე ითვლება და ოდესაში 1 მოწაფე 78 მცხოვრებზედ. პირველ დაწყებით სკოლებისათვის ირკუტსკის ქალაქის თვით-მმართველობა ჰხარჯავს წელიწადში 25,000 მანათს, რაიცა 8,5% შეადგენს ქალაქის შემოსავლისას, მაშინ როდესაც პეტერბურგში ამავე საქმისთვის იხარჯება 6,8% ქალაქის შემოსავლისა და მოსკოვში 6,5%. ეს ცნობანი ამტკიცებენ, რომ ირკუტსკის ქალაქის მმართველობა დიდს ყურადღებას აქცევს სწავლა-განათლების საქმეს. 1889 წელს, როცა ქალაქის გამგეობამ სკოლის შენობანი დასინჯა და აღმოჩნდა, რომ ეს შენობანი ძლიერ ვიწრო და მოუხერხებელი იყო, ირკუტსკის ქალაქის საბჭომ ერთხმად 80,000 მანათი გადასდო სკოლებისთვის შენობათა ასაგებად და ამ ჟამად ყველა სკოლას საკუთარი შენობა აქვს. საბჭომ გადასწყვიტა აგრეთვე, რომ ამიერიდგან ახალ სკოლებისათვის საკუთარი შენობა იყოს ხოლმე აგებულიო და ამ საქმისათვის გადასდო ყოველ წლივ 5,000 მანათი. ირკუტსკის სამოქალაქო სკოლების მასწავლებელთ, არა თუ ნაკლები, თითქმის მომეტებული ჯამაგირი ეძლევათ, ვიდრე პეტერბურგისა და მოსკოვის სკოლების მასწავლებელთ (500 მანათი წელიწადში, მუქთი სახლი, შეშა, ნავთი და სხვ.). ამ ცნობათა გამო ბ-ნი სემიონოვი დაასკვნის.

1) თუმცა ირკუტსკს მცხოვრებთა რიცხვის მიხედვით მე-34 ადგილი უჭირავს რუსეთის ქალაქთა შორის და ამას გარდა შორეულს ციმბირშიაცაა, მაგრამ მაინც რუსეთის სხვა ქალაქებს გაცილებითა სჯობია სწავლა-განათლების საქმის რიგიანად მოწყობით.

2) ირკუტსკს რამდენიმე მილიონი მანათი აქვს განსაკუთრებით სწავლა-განათლებისთვის გადადებული.

3) ირკუტსკის დედათა სასწავლებლები დაარსდა სხვა-და-სხვა საზოგადოების ფულით და კერძო კაცების დახმარებით.

4) ირკუტსკის ყველა სასწავლებელს თვით ქალაქი ინახავს.

5) სამს სამხედრო სასწავლებელს გარდა, სახელმწიფოს ყველა სასწავლებელს ქალაქისაგან სუბსიდია ეძლევა.

განძრევასა და ფეხების ბარტყუნზედ მძიმედ ასწევენ წინა ტოტებს და ასე დაყუნცულები ზემოდგან მძიმედვე თვალით წრეს ავლებენ მთელს ბინას, და, რაკი დარწმუნდებიან, რომ მტერი არსად არისო, განგებ ერთი-ორჯელ წაჰყეფენ და ისევ საძილედ მიეყრებიან.

ბინაში-კი მხოლოდ ცხვრის პატრონის ჯალაბობა მიწვა ქოხში და მათგანვე გაკეთებული ყველი თავით მიიწყეს. სულ სამი ქალი იყო: ერთი ცხვრის პატრონის ცოლი, მეორე იმისი გასათხოვარი ქალი და მესამეც რძალი. ესენი ყოველთვის, როცა-კი ცხვრის წველის დროა, მთაში ამოდიან, რომ ყველი თითონვე გააკეთონ და აქ რჩებიან, ვიდრე ცხვარი არ გაშრება. ეხლაც იმისთვის ამოვიდნენ და აგერ მეორე კვირაა, რაც აქ ცხვრის ბინაზედ არიან ღამეცა და დღეც.

მიჩუმდა ყველაფერი: ცხვარმაც შესწყვიტა ფრუტუნი და ფეხების ბაკიბუკი, რაც ძაღლებს ძილს უკრთობდა და მალ-მალ ზარმაცად შეაყეფინებდა. მარტო ნანასავით ეწვეთება ყურში აქ მყოფთ მთის წვერიდგან ცელქად ჩამომდინარ წყლის ჩანჩქარი, რომელიც ჩამოკიბულ მთის კალთებზედ მარდად ჩამოხტის და მარგალიტებრ წინწკლებს ესვრის გარშემო უხვად ამოფეთქილს ყვავილ-ბალახებს. მთვარემაც უკანასკნელად გადმოჰხედა მთის წვერიდგან ცხვრის ბინას და მძიმედ, თითქოს ენანება, რომ ასე მალე ანებებს თავს ამ მშვენიერს ბუნებასაო, ჩაეშვა; აგერ იმისი უკანასკნელი მკრთალი სხივებიც გაიფანტა ცის სივრცეში და აქამდის გაცრიაგებულმა ვარსკვლავებმა კაშკაში მორთეს. ამ დროს მოისმა მთის ზემო კალთიდგან, სადაც ბატკანი არის დაბინავებული, საამური ხმა სალამურისა, ჯერ მძიმედ და დაბლად, მერე ამაყად და მედგრად, როგორც მთიულის გული, და ბოლოს-კი ისევ მიწყნარდა, მიჩუმდა და წყლის ჩანჩქართან შეერთებული ოდნავ-ღა გამოისმოდა იმისი ხმა. რალაც ზეციურს საიდუმლოს მოგვითხრობდა წყლის ჩანჩქართან შეერთებული სალამურის ხმა...

— ნეტავი, თევდორავ, არ მასმენდე მაგ ხმას! წამოიძახა ქოხში ქალმა და გულ-აღმა გადაწვა. „რაი ვქმნა, მე ბეჩავმა, რაი?..“ მალ-მალ წამოიძახებდა ხოლმე ქალი და სასოწარკვეთილებით ხან ერთს მხარეს გადაგორდებოდა და ხან მეორეს. თავი საშინლად უხურდა და თვალები უბრწყინავდა. ტირილი უნდოდა, ისე უნდოდა, რომ ასე თავისს სიცოცხლეში არა მოსდომებია-რა, თითქმის, როგორც ამბობენ, ტირილი ყელშიაც ჰქონდა მობჯენილი და არჩობდა, მაგრამ იმის თვალებს ცრემლი არ ეკარებოდა. თევდორაი-კი უფრო გულ-საკლავს ხმებს ათქმევინებდა სალამურს და ბოლოს სულ კვნესის ხმად აქცია, რომელიც ქალს ყურს ეწვეთებოდა და სდაგავდა იმის გულს.

— ბარამ, ბარამ, რაი დაგიშავე, რაისთვის მასმიე?.. არა, ბარამ, ლომისის მადლმა, სტყუი, ცილსა სწამებ ნინიას, ის მე არ დამივიწყებდა, არა!.. ნინიაი მაგას არ იზამს?.. მე ის მიყორს და!.. წამოიძახა ქალმა, როცა თევდორამ ცოტას ხნობით სალამური შესწყვიტა, მაგრამ იმან ისევ ჩქარა ჩაჰბერა სალამურს და სამწუხარო ხმები ისევ ჩააწვეთა ყურში. ქალი გატვრინდა. ის უგდებდა ყურს და ხმის მაგიერად ყურში ესმოდა: „ნინია გატყუებს, ნინია გატყუებს!..“ ამას ჩასძახდა სალამურის ხმა, ხოლო წყლის ჩანჩქარი-კი კვერს უკრავდა: „ჰო, შე ბეჩავო... ჰო, შე ბეჩავოო!..“ ქალმა ველარ გაუძლო ამ იდუმალს ხმებს და გიჟსავით წამოვარდა. წამოვარდნისასვე წამოიძახა: „არა, არა!.. ნინიაი არ მამატყუებს!..“ „როგორ არა!.. როგორ არა!.. ხა, ხა, ხა!.. გატყუებს!..“ მოესმა თავისის სიტყვების პასუხად ქალს...

— ჩემი თოლით თუ არ ვნახე, არ დავიჯერებო, არა!.. ეხლავე წავალ იქ!.. ხმა მაღლივ წამოიყვირა ქალმა და ჯოხს წამოავლო ხელი...

— ვინა ხარ?.. წამოიძახა ქალის ხმაურობასა და ფაჩუნზედ გამოღვიძებულმა იმისმა დედამ.

— მე... უპასუხა ქალმა.

— რაისთვის არ დასწვები, რას ფროტიალობ?! შეუტია დედამ და გადაბრუნდა.

შ. არაგვისპირელი

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

6) ირკუტსკის ყველა სასწავლებელს, პირველ დაწყებითსაც-კი, თავისი საკუთარი შენობა აქვს და ეს შენობანი სკოლებისთვის არის აგებული საგანგებოდ და ძლიერ ხერხიანადაა მოწყობილი.

7) ირკუტსკში კერძო სასწავლებელი არ არის, ერთს გარდა. ეტყობა, ირკუტსკელები კერძო სასწავლებლებს არა სწყალობენ.

8) თუმცა ირკუტსკში უმაღლესი სასწავლებელი არ არის, მაგრამ უმაღლესის სწავლის მიღების მსურველთ ქალაქი დიდს შემწეობას აძლევს ხოლმე და მოუთმენლად მოელის, როდის დაარსდება ტომსკის უნივერსიტეტში, სამკურნალო ფაკულტეტს გარდა, სხვა ფაკულტეტებიცაო.

რუსეთი

პეტერბურგს 3 და 4 სექტემბერს ავად გახდა 48, გარდაიცვალა 15, მორჩა 60; კრონშტადტს 2 სექტემბერს ავად გახდა 1, მორჩა 5; მთელს გუბერნიაში 3 სექტემბერს ავად გახდა 14, გარდაიცვალა 4, მორჩა 18.

მოსკოვს 2 სექტემბერს ავად გახდა 14, გარდაიცვალა 8, მორჩა 5; გუბერნიაში ავად გახდა 8, გარდაიცვალა 3.

ვორონეჟს 2 სექტემბერს ავად გახდა 1, გარდაიცვალა 1; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 280, გარდაიცვალა 115, მორჩა 22.

ყაზანს 2 სექტემბერს ავად გახდა 6, გარდაიცვალა 3. მთელს გუბერნიაში ავად გახდი 118, გარდაიცვალა 56.

კიევს 2 სექტემბერს ავად გახდა 53, გარდაიცვალა 13, მორჩა 40; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 44, გარდაიცვალა 18, მორჩა 14.

კურსკს 2 სექტემბერს ავად გახდა 10, გარდაიცვალა 3; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 326, გარდაიცვალა 149, მორჩა 151.

ნიჟნინოვგოროდს 3 სექტემბერს ავად გახდა 5, გარდაიცვალა 4, მორჩა 12; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 20, გარდაიცვალა 13, მორჩა 23.

ქ. ორიოლში 2 სექტემბერს ავად გახდა 1; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 24, გარდაიცვალა 5.

პენზას 2 სექტემბერს ავად გახდა 14, გარდაიცვალა 3, მორჩა 11; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 103, გარდაიცვალა 38, მორჩა 53.

პერმს 2 სექტემბერს ავად გახდა 1, მორჩა 1; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 86, გარდაიცვალა 26.

რიაზანის გუბერნიაში 2 სექტემბერს ავად გახდა 19 გარდაიცვალა 13, მორჩა 11.

სამარას 2 სექტემბერს ავად გახდა 3, გარდაიცვალა 4, მორჩა 1; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 172, გარდაიცვალა 78, მორჩა 161.

სარატოვს 2 სექტემბერს ავად გახდა 2, გარდაიცვალა 1, მორჩა 3; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 705, გარდაიცვალა 276; ცარიცინს 27 აგვისტოს ავად გახდა 3, გარდაიცვალა 2.

სიმბირსკს 2 სექტემბერს ავად გახდა 1, გარდაიცვალა 2; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 128, გარდაიცვალა 65.

ტულას გუბერნიაში ერთის კვირის განმავლობაში 23—30 აგვისტოს სულ ავად გახდა 97, გარდაიცვალა 28, მორჩა 44.

უფას 2 სექტემბერს ავად გახდა 10, გარდაიცვალა 2, მორჩა 4; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 110, გარდაიცვალა 55.

ხარკოვის გუბერნიაში 2 სექტემბერს ავად გახდა 94, გარდაიცვალა 19.

უცხოეთი

ინგლისი. ამას წინად მოვიხსენიეთ, რომ ირლანდიაში ძალ-მომრეობის კანონი უკვე გაუქმდაო. ეს გადაწყვეტილება დაუდვიათ საიდუმლო კრებაზედ, რომელსაც დასწრებია ირლანდიის საქმეთა სეკრეტარი ჯონ მორლეი, ლორდ-კანცლერი და გენერალ-ატორნეი. „Daily News“-ი მოგვითხრობს, რა გარჩევაა ირლანდიის მმართვა-გამგეობაში დღესა და ბალფურის დროს. ბალფურის დროს სიცოცხლე აღარ მისცეს საეროვნო საზოგადოებას ანუ ლიგას, ხოლო საზოგადო კრებანი ხომ თითქმის აიკრძალა. ირლანდიის მთავრობამ დაბეჭდა მაშინ პროკლამაცია, რომელშიაც ნათქვამი იყო, რომ საეროვნო ლიგა საშიში დაწესებულებააო. ბევრი იბრძოლეს გლადსტონმა, ჩემბერლენმა და ბევრმა სხვებმაც ირლანდიის მთავრობის ასეთის განკარგულების წინააღმდეგ, მაგრამ დამარცხდნენ. ეს პირველშივე მოხდა. შემდეგ აიკრძალა კრება, რომელსაც თანაგრძნობა უნდა გამოეცხადებინა ჰომრულისათვის. ირლანდიელებმა მაინც მოინდომეს კრების გამართვა, რის გამოც ჩხუბი მოუვიდათ პოლიციელებთან, რომელთაც ჩამოათრიეს ბაქანიდგან ლაპარაკის მდომელი მოთავე კრებისა. შემდეგ ეს კაცი სასამართლომ ორის თვით დააპატიმრა. აი ყოველივე ესე მოსპო მორლეიმ და სრულიად სხვა წესი დაამყარა, ისეთივე წესი, როგორიც ყველა სხვა ინგლისელისათვის არსებობს.

— ინგლისის გაზეთებში დაბეჭდილია შესანიშნავი წერილი ლაბუშერისა, რომლის შესახებაც ამას წინად ჩვენ გვქონდა ნათქვამი ორიოდე სიტყვა და რომელიც ინგლისის დედოფალმა არ ისურვა, რომ მის მინისტრებს შორის ისიც ყოფილიყო. ეს წერილი ფრიად საყურადღებოა და ამიტომ შემდეგს ნომერში ვეცდებით სიტყვა-სიტყვით დავბეჭდოთ სრულიად და უკლებლივ.

იტალია. არჩევანები დეპუტატებისა იტალიაში 25 ოქტომბერს დაიწყება. ვატიკანი კვლავ სთხოვს გულ-მოდგინე კათოლიკეთ, ნუ მიიღებთ მონაწილეობას არჩევანებშიო.

— მეფე-დედოფალი გამოეთხოვნენ უცხოეთის სტუმართ გენუაში და მონცს წაბრძანდნენ. იტალიის ჟურნალისტებმა გაჰმართეს სადილი უცხოეთის მწერლობის წარმომადგენელთ პატივსაცემლად. ყველა სადღეგრძელოს შორის უფრო დიდის ალტაცებით მიეგებნენ სადღეგრძელოს ყველა ერთა ძმობისასა და ერთობისას.

— ახლად დაარსებული გაზეთი რადიკალებისა „ელვა“ ამბობს, რომ ჩვენი სურვილიაო: ვეომოთ და ვებრძოლოთ ყოველ გვარ პრივილეგიას, მუხანათობას ადამიანისას და მუქთა-მჭამლობას; მოვითხოვოთ, დაიზოგოს ქვეყნის ფული, რომელიც ჯარებისათვის იხარჯებაო; გაერთიანდეს ლათინთა ტომის ერნი; გვინდა კოლონიზაცია იტალიაში და არა აფრიკაშიო და რეფორმა გარდასახადებისა და სოციალური პოლიტიკაო.

დეპეშა

11 სექტემბერი

პეტერბურგი. ხოლერის გამოისობით საშემოდგომო იარმუკობა ლეიპციგში გადადებულია.

პარიჟი. გუშინ იდღესასწაულეს ასის წლის შესრულება მას შემდეგ, რაც პირველი საფრანგეთის რესპუბლიკა გამოცხადდა. დილითვე, კარნოს თავმჯდომარეობით, პანტეონში ცერემონია იყო გამართული. შინაგან საქმეთა მინისტრმა ლუბემ და დეპუტატთა პალატის პრეზიდენტმა ფლოკემ თავისს სიტყვაში განსაკუთრებული ყურადღება იმ გარემოებას მიაქციეს, რომ რესპუბლიკას მშვიდობიანი პოლიტიკა შეძლებას მისცემს თავი დაუდოს სოციალურ საკითხთა გადაწყვეტის საქმესაო. შუადღის უკან ქუჩებზედ დადიოდა ისტორიული პროცესია ეტლებითურთ; ერი დიდის სიხარულითა და თანაგრძნობით ეგებებოდა.

სტამბოლი. გუშინ გაემგზავრნენ ის გემები, რომლებშიაც დაპატიმრებული სოფთები იყვნენ. ზოგიერთები კიდევ ხმელეთის გზით გაჰგზავნეს. ჯერაც არ არის მიყუჩებული იმის ხმა, რომ შეთქმულობა აქვთ განზრახულიო.

ლონდონი. „Times“-ს დეპეშით აუწყებენ შანჰაიდგან, რომ დასჯამ უსამართლოდ ბრალდებულისამ, ვითომ-და შარშან ტეკში ამბოხება მოახდინაო, ახალი დიდი ამბოხება გამოიწვია ფუკიენის პროვინციაშიო.

პეტერბურგის ბირჟა, 11 სექტ.

	მყიდველისა.	გამყიდველისა.	გაყიდულისა.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო .	$7,_{88}$	$7,_{91}$	— „
ტამოჟნის კუპონები .	$157^{1}/_{2}$	$158,_{37}$	— „
მანეთიანი ვერცხლის ფული	$1,_{08}$	$1,_{10}$	— „
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	— „	— „	235
—მეორისა	— „	— „	$216^{3}/_{4}$
სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . .	— „	— „	$191^{1}/_{2}$
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა:			
6%.	$102^{1}/_{4}$	— „	— „
5%.	$99,_{87}$	— „	— „
ქუთაისის ბანკისა 6%.	$102^{1}/_{4}$	— „	— „
5%.	$99,_{87}$	— „	— „
5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა	— „	— „	$98,_{12}$

მართა გრიგოლის ასული და **ივანე ნიკოლოზის ძე ზაალიშვილები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა პირველი ასულისას და მეორე დისა თვისისას, **მარიამ ნიკოლოზის ასულის ზაალიშვილისას,** დ სთხოვენ მობრძანდნენ მიცვალებულის გამოსვენებაზედ სამშაბათს, 15 სექტემბერს, დილის 9 საათზედ, საკუთარ სახლიდგან წმ. ნიკოლოზის ეკკლესიაში. (1—1)

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

წელიწადი მეათე

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1892—93 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქმნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია მარტივი ორ-კაცი და საბანკო 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გარკვეული და შნოიანი.

სწავლა დაიწყება 1 ოქტომბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 15 სექტემბრიდამ, ყოველ დღე საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩებზე, ათუთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ჰ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—80—11)

თამბაქოს ფაბრიკა

ნიკოლოზ ივანეს ძის ბოზარჯიანცისა

ტფილისში

არსებობს 1858 წლიდგან.

მივაქცევ პატივცემულ საზოგადოების ყურადღებას ჩემს ფაბრიკაში საფრანგეთის საუკეთესო ქაღალდით მომზადებულს დაუწებებელს პაპიროსს, რომელიც კეთდება განსაკუთრებულის მაშინებით, ძალიან რიგიანადა და სუფთად. ამ გვარად მომზადებულს პაპიროს, ბ-ნთ მომხმარებლებს სახამებლის არა-სასიამოვნო გემოს აცილებს თავიდგან.

ახალად მივიღეთ დიდ-ძალი საუკეთესო ოსმალეთის სურნელოვანი თამბაქო, რომელსაც პაპიროსადაც ვაკეთებთ, თამბაქოდაც ვყიდით ყოველ შემომკვეთლის გემოვნების, დიდად ზომიერ ფასად.

შემომკვეთლებს შეუძლიანთ მიჰმართონ სასახლის ქუჩაზედ, № 1. (10—5)

[illegible]

იოსებ ი. გოკიელოვის მაღაზიაში

ქუთაისში

ისყიდება მოსწავლეთა რვეულები (ტეტრადები) კარგის ხარისხისა.

თითო 3 კაპ.

ასობით 2 მ.—50 კ.

აგრეთვე მცირე ფასებად მოსწავლეთა ყველა კუთვნილებანი.

(20—116—4)

[illegible]

ახლად გამართული

პანსიონი და სასწავლებელი

ა. გ. მირზაშვილისა

იმყოფება გრიბოედოვისა და კრუზენშტეინის ქუჩების კუთხეში, ბალდოევის სახლში. შეგირდები მიიღებიან როგორც პანსიონერებად, ისე გარედამ მოსიარულეებად. სწავლა დაიწყება 25 სექტემბრიდამ. (50—2)

გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“ და „წიგნების გამომცემელ ამხანაგობის“ მაღაზიაში ახალი წიგნი;

ზ ა დ ი გ ი

მოთხრობა ვოლტერისა

გადმოთარგმნილი ა. ახნაზაროვისმიერ

ფასი 20 კაპ.

იქავე ისყიდება ა. ახნაზაროვის მიერვე გადმოთარგმნილი ოთხ-მოქმედებიანი დრამა თ. ა. სუმბათაშვილისა „ბორკილი“ და ჰღირს 40 კაპ.

Дозв. ценз. Тифлисъ, 12-го Сентября 1892 г.
სტამბა მ. შარაძისა.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.